№ 102

კვირა, 17 მაისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 102

კვირა, 17 მაისი, 1898 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 17 მაისს,

**ნატალია იოსების ასულის ფორაქოვის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც განსვენებულის ქალი, ვაჟები და და აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (2—86—2)

**საქველ-მოქმედო ბაზარი**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს

თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10-ს საათზე და გათავდება საღამოს 8 საათზე.

ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

ქუთაისის ქალაქის სამმართველო ამით აცნობებს საყოველთაოდ, რომ არჩევა ხმოსნებისა ქუთაისის ქალაქის საბჭოსი ოთხის წლით 1898—1902 წწ. დანიშნულია 14 ივნისს ამა წლისა; მიღება კანდიდატების სიისა შეიძლება 18 მაისიდგან 3 ივნისამდე ყოველ დღე, გარდა უქმე და სახელმწიფო დღეებისა,

9 საათიდგან დილით ვიდრე შუადღის 2 საათამდის. (3—6.—1).

**ქართული თეატრი**

კვირას, 17 მაისს, 1898 წ.

ქართულის დასის არტისტებისაგან, გ. 6 გედევანოვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება, **პირველად ახალი პიესა.**

I

**არკადიას სადილი,**

სცენები ჩვენის ვაჭრების ცხოვრებიდან, 3 სურათად.

II

**ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ**

ვოდ. 2 მოქ., თ. რაფ. ერისთავისა.

ოსეფას როლს შეასრულებს ბ-ნი გედევანოვი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რჩეულოვისა, გალუსტოვისა; ბ-ნნი გედევანოვი, ადამიძე, საფაროვი, კარბელი, გვარამაძე, თამაზიშვილი და სხ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

17 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

**ჩვეულებრივი წლიური კრება**

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

**„შუამავლისა“.**

კრებას წარედგინება განსახილველად წლიური ანგარიში ამხანაგობის საქმეებისა, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წლისა და ცალკე მოხსენებანი შესახებ ამხანაგობის ზოგიერთ საქმეებისა.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. შროტასევგიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

(50—80—15).

ტფილისი, 16 მაისი

ქართველები ვამბობთ ხოლმე: ვინც მოკვდა —თავსა მოუკვდაო. მართალია, ბევრი იმისთანა კვდება ჩვენში, თუ სხვაგან, რომელიც მართლა მარტო თავისს თავს უკვდება. ნათქვამია, იგი არაფერში ვარგაო, ვინც მარტო თავისის თავისათვის ვარგა და ამისთანა სხვას ვისს და რას მოუკვდება, თუ არ მარტო თავის თავსა.

ეს არ ითქმის იმაზე, ვის საფლავის წინ 15 მაისს, ჩვენდა სამწუხაროდ, ვიდეგით, რომ უკანასკნელად და საუკუნოდ გამოვთხოვებოდით და საუკუნოდ განსვენება გვეთქვა. ალექსანდრე როინაშვილი თავისს თავსკი არ მოუკვდა, მოუკვდა თავისს ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია, როგორც ეხლა სჩანს და როგორც განსვენებულმა დაამტკიცა მთელის თავისის ცხოვრებით და თავისის ანდერძით.

რა იყო და ვინ იყო ალექსანდრე როინაშვილი, რომ მისმა უჩინარმა სახელმა იმოდენა ხალხი მიიზიდა მისს საფლავზე უკანასკნელის პატივის-საცემლად, მისის გვამის გასაპატიოსნებლად? იქ იყო ყველა წოდების კაცი თუ ქალი, ყველა ხარისხისა, ყველა ხელობისა ერნაირად მწუხარე და მგლოვიარე. მას არა ჰქონდა არც დიდი გვარი, არც ხარისხი რამ სახელმწიფო მოხელისა, არც სწავლა, არც არა-რა იმისთანა თვალად გამოსაჩენი და გარედამ მიკერებული ღირსება. იგი იყო უბრალო გლეხ-კაცის შვილი, შვილი ღარიბის, ღატაკის ოჯახისა, უმწეო, უნუგეშო, უსწავლელი. ვამბობთ, უსწავლელი, თუმცა სკოლაშიაც ყოფილა, მაგრამ იმისთანა სკოლაში (ვოენნი კანტანისტების სკოლა), საცა უფრო მოსალოდნელია კაცს გონება დაეხშოს, ვიდრე გაეხსნას და გაუძლიერდეს. ეგრე გარედამ ხელშეუწყობელი როგორ გახდა იმისთანა კაცად, რომ დღეს მისი დაკლება ქვეყნის დასაკლისად მიგვაჩნია?

სახელი და საქები მისი ის არის, რომ იგი თავისის შინაგანის ღირსებით გახდა ამისთანა კაცად მაშინ, როდესაც ყოველივე გარემოცული გარემოება ამ ულმობელის წუთისსოფლისა მისი შემხუთავი და მომწყვლელი იყო. იგი იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა, რომელსაც ღმერთი აღირსებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომლითაც კაცი კაცობს ამ ქვეყანაში მიუხედავად იმისა, გლეხია, თუ თავადი. იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკან დაუხეველი, რაკი საქმეს აიჩენდა და ხელს ჩაჰკიდებდა. მან არა რაისაგან შეჰქმნა საქმე, არა რაისაგან შეიძინა ქონება და ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმ ისი, თუ-რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება და არ შეუშინდება ხელშეუწყობელს გარემოებას. მაგალითი ხომ ყველა ქადაგებაზე უფრო ძლიერია და მჭევრმეტყველი და აი მაგალითი ძლევა მოსილობისა, როცა გარჯა და მხნეობა იბრძვის და გული ჰგულობს ადამიანისა.

თვითეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხე სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა და მის მიერ გაწვლილი, ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწურთვნელია ყველასი, ვისაც-კი კაცობისათვის გული ერჩის. საცა ამისთანანი გამრჯელნი და მხნენი არიან, ქვეყანა იგი ძლიერია და ღონიერი სულითაც და ხორცითაც. არავის ენატრება ამისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას, რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და ჭიდილი.

გარჯისა და მხნეობის მაგალითი ხომ თავისთავადაც კარგია და საქები, მაგრამ განსვენებული ალ. როინაშვილი მარტო ამით არ არის ჩვენ მიერ სახსენებელი და პატივ-საცემი. მას გულში ეჯდა იგი პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამულიშვილურ სიყვარულს ეძახიან, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და მხნეობისა და რომელიც იქა ჰსადგურობს, საცა უბრყვილო, უანგარო და პატიოსანი გულია. ამ სიყვარულის სხივებით გულ-გამთბარი და გაძლიერებული იგი იღწოდა, ირჯებოდა, ჰშველოდა ობოლს, ქვრივსა, უმწეოს, უნუგეშოს, თვითონ იკლებდა, ზოგს სხვას ჰმატებდა, ზოგს ინახავდა, გროშს გროშზე აწყებდა და ბოლოს თავისი ნაღვაწ-ნაამაგევი, პატიოსანის შრომით მოგებული თავისს ქვეყანას მიართვა: აჰა შენთვის ვიღვაწე, ვიამაგე ჩემის შეძლებისამებრ და ჩემი ნაღვაწ-ნაამაგევი შენ მოიხმარე შენს სადღეგრძელოდაო.

აქ გამოსაკითხი ის-კი არ არის—ბევრი შესწირა თავისს ქვეყანას, თუ ცოტა. საქმე იმაშია, რომ რაც ჰქონდა, სულ მთლად თავისის ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესაწირად. შესაწირავი იქნება დიდი არ იყოს, მაგრამ დიდია გული, საცა ამისთანა სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზდილა და სადიდებელი მით უფრო, რომ იგი გული უმწეო და უნუგეშო გლეხ-კაცის გული იყო, რომლის უმადური ცხოვრება ისე მოწყობილი ამ ულმობელ ქვეყანაში, რომ ძნელად თუ მოიცლის თვის საკუთარ ჭირ ბოროტს გარე გული და ხელი სხვას რასმე მიაწვდინოს, სხვაზე რასმეზე იზრუნოს და იფიქროს. ამ ჭირ-ბოროტს ქვეყნისას წაულია და წაუშლია ვინ იცის რამდენი ხალხი და ალ. როინაშვილმა-კი სძლია ამ ჭირბოროტსა და თვისი უჩინარი სახელი და გვარი ღირს-სახსენებელი გახადა თავისს ქვეყანაში.

ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამაპაპათაგან რჩენია და რგებია. ამიტომაც არის თქმული, რომ უფრო სასახელოა კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდრე სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდესო.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 17 მაისს, სიონის საკრებულო საკათედრო ტაძარში წირვის გათავების შემდეგ გარდახდილ იქნება ტფილისის სასულიერო წოდების მიერ პარაკლისი ყოვლად უსამღვდელოესის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს ქ. ფოთში გამგზავრების წინ. პარაკლისს დაესწრებიან სასულიერო უწყების დაწესებულებათა წარმომადგენელნი და პატივისმცემელნი მხცოვანის მღვდელმთავრისა. გურია-სამეგრელოში ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე წაბრძანდება ორშაბათს, 18 მაისს, დილის მატარებლით. იმედია, რომ ქართველი საზოგადოება, რომლის სულიერს ზრდა-წარმატებას ემსახურებოდა ყოვლად სამღვდელო ოცდა თექვსმეტს წელს მღვდელ-მთავრის ხარისხში, დღეს სიონის საკრებულო ტაძარში დაესწრება ზემოთ-ხსენებულს პარაკლისს და მით პატივს სცემს ღვაწლით შემოსილს მღვდელმთავარს.

*** ჩვენმა რედაქციამ მიიღო მოსკოვიდგან ა. ხახანაშვილისაგან შემდეგი დეპეშა: „განუსაზღვრელს მწუხარებაში ჩამაგდო ალ. როინაშვილის უდროვოდ გარდაცვალებამ. საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა უანგარო მოღვაწისა“.

*** ამის შესახებვე გვწერენ ხარაგაულიდგან: „ხარაგაულის მცხოვრებნი, წოდების განურჩევლად, ვუერთებთ ჩვენს ულრმესს გულის ტკივილს საზოგადო მწუხარებას და ვთხოვთ უფალს, რათა განუსვენოს სულსა ალექსანდრე როინაშვილისას, სადაცა განისვენებენ დიდებულნი მამანი ჩვენის ქვეყნისანი. ღმერთმა გვიმრავლოს იმისთანა უანგარო მამულის შვილნი, როგორიც იყო განსვენებული ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილი“.

*** გუშინ, შუადღისას, ქალაქის მოქალაქეს ნიკოლოოზ დიდაროვს, სამოცდა-ათის წლის მოხუცს, თავი მოუკლავს დამბაჩით. ქუდში ჩაუდვია ბარათი და შიგა სწერია თურმე, რომ ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთ, მე თვითონ მოვიკალ თავიო. ამბობენ, სასამართლოში რაღაც ფულის საქმე ჰქონია, ეს საქმე წაუგია და ჯავრით თავი მოუკლავს. დიდაროვი საკმაო ქონების კაცი ყოფილა, ფული ჰქონია და სახლებიცა.

*** ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საბჭოს უფროსი წევრი ბ-ნი ამიროვი თავს ანებებს სამსახურს ავადმყოფობისა გამო.

*** ქალაქის გამგეობა ამ ჟამად არდგენს მოხსენებას ქალაქის პურის დუქნების დაარსების შესახებ.

*** სამრევლო სასწავლებლების საეპარქიო ზედამხედველი ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი 14 მაისს გაემგზავრა ყარსის ოლქში არსებულ სამრევლო სასწავლებელთა დასათვალიერებლად და ცნობების შესაკრებად იმის შესახებ, თუ სად უფრო უმჯობესი იქმნება მეორე ხარისხის სამრევლო სასწავლებლის დაარსება.

*** ბაქოს სატეხნიკო სასწავლებლის დირექტორის მ. მიხალევსკის თაოსნობით ამ ზაფხულს სატეხნიკო სასწავლებლისა და სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი იმოგზაურებენ სამრეწველო სასწავლებლებისა და სხვა ადგილების დასათვალიერებლად. მოსწავლეთა რიცხვი 60 იქმნება და თან ეყოლებათ მასწავლებლები, ხელოსნები და სასწავლებლის მკურნალი. მოსწავლენი იმოგზაურებენ 14 დღეს და დაათვალიერებენ ტფილისს, ბორჯომს, შორაპან-ქიათურსა და ბათუმს, ხოლო უკან დაბრუნებისას ქუთაისს ტყიბულსა და განჯას.

*** კავკასიის საბრეშუმო სადგურთან 20 მაისს დაარსებულ იქმნება მსურველთათვის უფასო კურსები მეფუტკრეობისა. ლექციების კითხვას დაიწყებენ მთავარ-სადგურის დარბაზში ნაშუადღევის 5 საათიდგან და მსმენელთ ამუშავებენ კიდეც საფუტკრეში. მსურველთ ეხლავე შეუძლიანთ ჩაეწერნენ და მიიღონ შესაფერი პროგრამმა საბრეშუმო სადგურის კანტორიდგან.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკვე აღძრა შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ნება მოგვეცით კომიტეტი დავაარსოთ მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად, ხელის მოწერა გავმართოთ შემოწირულებათა შესაგროვებლად, საერთო საიმპერიო თანხიდგან დახმარება აღმოუჩინოთ დაზარალებულთ, სესხი მიეცეთ თესლის შესაძენად, ნუ გარდახდიბათ და ან რამდენსამე წლად გაუნაწილდეთ სახელმწიფო გარდასახადი, დაზარალებულნი განთავისუფლებულ იქმნენ ზოგიერთ საერობო გარდასახადისაგან და სხვანიო. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ წინადადება მისცა სამეურნეო საზოგადოებას, რომ ჯეროვანი ცნობები წარმოგვიდგინეთ მოუსავლობით დაზარალებულ ადგილებისა და იმის შესახებ, თუ რაოდენობის დახმარებაა საჭირო დაზარალებულთათვისაო.

*** ტფილისის სამხედრო საკრებულომ განიხილა სია იმ ახალგაზდათა, რომელნიც დაბადებულან 1876 წ. 1 ოქტომბრიდგან 1877 წლის 1 ოქტომბრამდის და მიმდინარე 1898 წელს კენჭი უნდა ამოიღონ სამხედრო ბეგარის გარდასახდელად და აღმოჩნდა, რომ გამოწვეულია ქართველი—88, რუსი—120, სომეხი—210, კათოლიკე—10, ლიუტერანი—8, ებრაელი—22, მალოკანი—5, მაჰმადის სარწმუნოებისანი რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან—4, ბაპტისტი—1, შაბათის მოდღესასწაულე მწვალებელთაგან—1, სულ—479 კაცი. ამ რიცხვმა შეიძლება კიდევ იმატოს და ან შემცირებულ იქმნას. ამ 479 კაცთაგან ჯარის კაცად გაყვანილ იქმნება 144 კაცი.

*** შორაპნის მაზრის სოფ. თერჯოლის მცხოვრებთ 7 მაისს განაჩენით დაადგინეს დააარსონ სასწავლებელი სასოფლო-სამეურნეო განყოფილებით.

*** 15 მაისს დაამთავრა ტფილისის ოლქის სასამართლომ მიხეილ შიოევის საქმის განხილვა. შიოევს ისა ჰბრალდებოდა, რომ თავისს ბიძის პეტრე შიოევის მოკვლა განიზრახა და ეს სურვილი სისრულეში მოიყვანა 1879 წ. 1 აგვისტოს სხვებთან ერთადაო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული და მიუსაჯა: ჩამოერთვას ყოველივე უფლება და გაგზავნილ იქმნას 8 წლით კატორგაშიო. სასამართლომ დაადგინა აგრეთვე გარდახდეს ბრალდებულს ბარბარე შიოევის სასარგებლოდ 1,000 მან. ერთხნობით და მუდამ თვე 40 მან. ვიდრე გათხოვდებოდესო.

*** ბათუმის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა გამოაქვეყნა-რა გაზ. „Чер. Вѣст.“-ში უმაღლესად დამტკიცებული დებულება მინისტრთა კომიტეტისა ოსმალეთის ქვეშევრდომ გადმოსახლებულ სომეხთა შესახებ, დასძინა: „ვუცხადებ ბათუმში სცხოვრებ სომეხთ, რომელნიც ოსმალეთიდგან კავკასიაში გადმოსახლდნენ არა უგვიანეს 15 ივნისისა გამოიცხადონ თავისი სურვილი ოსმალეთში დაბრუნების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთიდგან გადმოსახლებულს სომხებს ისე დავაბრუნებ უკან, როგორც ნაბრძანებია ზემოხსენებულის დებულებითაო.

*** გაზ. „Кав. С. Хоз.“ სწერენ გორის მაზრის სოფ. ქვახრელიდგან, რომ აქ და მეზობელ სოფელ დოესში საქონლის ჭირი გაჩნდა. ამას გარდა სოფ. ქვახრელში ვაზებს რაღაც მწერი გაუჩნდა და დაავადაო.

*** გაზ. „Нов. Вр.“ სწერს, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა პროექტი ამიერ-კავკასიის გლეხთა მამულ-დედულის საქმის გაწეს-რიგებისა და ამ დღეებში დაუგზავნის სხვა დაწესებულებათ თავიანთის აზრის გამოსათქმელადაო.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ თურქესტანის სასამართლო დაწესებულებებში განზრახულ ცვლილებათა შემოღებისათანავე უმაღლესს თანამდებობაზედ დანიშნულ იქმნებიან ტფილისის სამოსამართლო ოლქის მოხელენიო.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს განსაკუთრებული სასწავლებელი დააარსოს კავკასიაში ბაღოსნობისა და ღვინის წარმოების ცოდნის გასავრცელებლად. ხსენებული სასწავლებელი მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყებაში იქმნება.

*** ფოთი. 12 მაისს დადგა ის ნეტარი წამი, რომელსაც ფოთელები დიდი ხანია მოელოდნენ. ბ-ნ ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით უკვე გარდაეცა მოიჯარადრეს ნავთ-სადგურის საქმე და მუშაობაც გაიმართა. ეხლა სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროზე რიგიანი ნავთ-სადგური გვექნება და ქალაქიც წარმატებას მიეცემა. ამასთანავე დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ აგვცდება ის უხერხულობა, რომელსაც ბათუმის მეტოქეობით აღვირწახსნილი ვაჟბატონები გვაყენებდნენ. ახალი ხიდი, რომელიც ქალაქს ამკობს, ერთის კვირის განმავლობაში მზად იქმნება.

*** სოფ. ნატოჩაო, (სენაკის მაზრა). წარსულ აპრილის უკანასკნელ რიცხვებიდგან ჩვენს საზოგადოებაში თავი იჩინა წითელამ. ღვთის იმედით ჯერ-ჯერობით არც

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

მეცა მყავს სატრფო გულისა,
დღესაც ვცოცხლვარ მისითა,
მაგრამ სხვასა ჰყავს ტუსაღად,
ვიწვი ღამით და დღისითა;
იგი წევს მწუხრად-უენოდ,
გული მიკვდება შიშითა,
შენ უმკურნალე, ზენარო,
ნუ მომკლავ ოხვრა-ვიშითა!..

დ. მაჩხანელი

## რა არის ჰიპნოტიზმი ანუ შთაგონება?

ადამიანის ჭკუა-გონება იმდენად განვითარდა და გაძლიერდა, რომ მას დღეს არაფერი აღარ აკვირვებს; ყოველ ბუნებრივ მოვლენას ადამიანმა უპოვნა ასახსნელი მიზეზი და მართლაც ცოტა რამ დარჩა იმისთანა, რასაც ჩვენი ცნობის-მოყვარეობა ვერ მისწვდენოდეს. აი, ავიღოთ თუნდ ის საკვირველი მოვლენანი, რომლებსაც დღეს ჩვენ მეცნიერულ სახელს ,,ჰიპნოტიზმს“ ვეძახით; რამდენის საუკუნის განმავლობაში ადამიანს აკვირვებდა და აოცებდა. ადამიანმა, როგორც ყოველი ამ გვარი აუხსნელი რამ, უზენაესს ძალას მიაწერა.

აქ საჭიროდ ვთვლით მოკლედ გადავცეთ მკითხველს ჰიპნოტიზმის ისტორია.

რამდენისამე ათასის წლის წინად ინდოეთში იყო ერთგვარი სარწმუნოებრივი მოძღვრება, სექტა, რომლის მიმდევართ ფაკირებს ეძახდნენ; ესენი იმითი იყვნენ შესანიშნავნი, რომ თავისის სულიერის სიძლიერით სრულიად დაიმონავეს თვისი ფიზიკური—ხორციელი მხარე. მაგალითად, შეეძლოთ რამდენისამე ხნის განმავლობაში შეეკავებინათ სულისთქმა, რამდენისამე დღის განმავლობაში იდგნენ სრულიად უმოძრაოდ, სალათას ძილით იძინებდნენ და ამ მდგომარეობას ეძახდნენ ,,ღვთაებასთან შეერთებას“. ამ გვარ მდგომარეობაში მყოფი ფაკირი შეგეძლოთ დაგეჭრათ და დაგეწვათ, მაგრამ ვერავითარს ტკივილს ვერ იგრძნობდა; შესაძლო იყო ისიც, რომ ამ გვარად მყოფი ფაკირი დაგემარხათ მიწაში, რამდენისამე ხნის შემდეგ ამოგეთხარათ მიწიდგან და გაცოცხლდებოდა. სულ რამდენიმე წამი იყო საჭირო ფაკირისათვის, რომ ამ გვარ მდგომარეობაში მოსულიყო; გაუშტერებდა ფაკირი თვალებს რაიმე ბრჭყვიალა საგანს და სცდილობდა შეეწყვიტა ყოველივე სულიერი მოძრაობა. ფაკირები ისე დახელოვნდნენ, რომ არამც თუ თითონ შეეძლოთ ამ გვარ საკვირველ მდგომარეობაში ყოფნა, არამედ სხვებსაც მოიყვანდნენ და ისეთ საკვირველ საქმეებს მოახდენდნენ, რომ მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მოჰყავდათ: მაგალითად, შეეძლოთ ჯოხი გველად გარდაექციათ, გამხმარ ჯოხს თქვენ თვალწინ გამოებმებოდა ძირი, შემდეგ შეიმოსებოდა ფოთლებით და შეგეძლოთ ზედ ხილიც მოგეკრიფათ.

დახუჭე თვალები, უბრძანებდა ფაკირი ვისმეს, ახლა გაახილე! გაახელს თუ არა თვალებს, ადამიანი ჰხედავს, რომ იგი სულ სხვა, უცხო ქვეყანაშია და უცნობ ხალხს შორისაა.

ამ გვარ თვალთ-მაქცობას სჩადიოდნენ ეგვიპტეშიაც; საჭიროა გავიხსენოთ, რომ როდესაც მოსემ ღვთის ძალით მოახდინა ათი სასწაული, ეგვიპტელ მოგვთაც მოახდინეს თვალთმაქცობა, მაგალითად, როდესაც მოსემ ჯოხი გველად გარდააქცია, იმათაც გარდააქციეს თვისი ჯოხი, მაგრამ მოსეს გველმა შესჭამა იმათი გველი.

შესანიშნავია ქრისტიანობის პირველი ხანა; რა გვარი საშინელი და საზარელი ტანჯვა არ აუტანიათ პირველ ქრისტიანებს, მაგრამ იმ სასწაულებრივ ექსტაზში—ალტაცებაში იყვნენ ხოლმე, რომ სრულიად ვერავითარს ტკივილსა და ტანჯვას ვერა ჰგრძნობდნენ; საშინელისა და გამოუთქმელ სასჯელის დროს ესენი ალტაცებით ჰგალობდნენ ლოცვებს და ადიდებდნენ ღმერთს. იმ გვარ მდგომარეობაში იყვნენ, რომ სრულიად ჰკარგავდნენ სიკვდილისა და ტანჯვის გრძნობასა და შიშს. ამასთანავე ისიც ვიცით, რომ ძველადვე სცოდნიათ ხელების აღპყრობით განკურნვა; ამ გვარის საშუალებით მრავალი ავადმყოფი განკურნებულა.

ყველა ამ გვარ მოვლენას დღეს ჩვენ ვხსნით „ჰიპნოტიზმით“, ან შთაგონებით; მხოლოდ წინად ადამიანის განუვითარებელ გონებას შეეძლო მიეწერა ამ გვარი მოვლენანი უზენაესის ძალისათვის; ჩვენ ახლა დავრწმუნდით, რომ მიზეზი თვით ადამიანის სულიერი თვისებანია.

ის კაცი, რომელიც ჰიპნოტიზმშია, მოკლებულია თავისს საკუთარ მოსაზრებას, ნებას, აღარა აქვს საკუთარი სურვილი, ხდება ყურ-მოჭრილ ყმად თვისის შთამგონებელისა, ყოველის მისის სურვილის აღმასრულებელია. ჰიპნოზში მყოფ ადამიანზედ, თითქო ძილშიაო, აწმყო ქვეყნიერება აღარა ჰმოქმედებს, იგი მხოლოდ იმას ჰხედავს, ჰგრძნობს, რასაც შთამგონებელი შთააგონებს; გადიყვანს სამოთხეში, ჯოჯოხეთში, აიყვანს ცაში, მთვარეზედ; აგრძნობინებს შიშს, მწუხარებას, სიამოვნებას და ნეტარებას; ამისთვის საჭიროა სულიერი ზედ-მოქმედება ერთის ადამიანის მეორეზედ. დასვამენ ადამიანს ერთს რომელსამე ყუდრო ადგილას, თვალები უნდა გაუშტეროს ერთს წერტილს; ამ დროს არაფერზედ არა უნდა ჰფიქრობდეს და სრულიად უმოძრაოდ უნდა იყოს; ამ გვარად ადამიანი ჰკარგავს თავისს მოსაზრებას და ნებობას; საკმარისია ბრძანება შთამგონებელისა, რომ მან სრულის მორჩილებით აღასრულოს ყოველი მისი სურვილი. ჰიპნოტიური ზედ-მოქმედება შეიძლება წარმოსდგეს მხოლოდ ერთის ბრძანების კილოთი თქმულის სიტყვით ან და ხელის მიკარებით.

ჰიპნოზში მყოფი ადამიანი რომ ნახოთ, გეგონებათ, ძილშიაო; სახე დაწყნარებული აქვს, მაჯა უფრო ნელად უცემს, სულის-თქმაც შეჩერებული აქვს; უმოძრავოა; თავისი წარმოდგენა აღარაფრისა აღარ აქვს, იგი მხოლოდ შთამგონებელის სურვილით სცოცხლობს. ტკივილის გრძნობა სრულიად დაკარგული აქვს; როდესაც ჰიპნოტიურ მდგომარეობიდგან გამოდის, თითქმის აღარაფერი აღარ ახსოვს-რა, თითქო ღრმა ძილში იყო.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ჰიპნოზში მყოფ ადამიანს იმ გვარი საუცხოვო ძლიერი მეხსიერება ეღვიძება, რომ დიდის ხნის ამბავს სულ დაწვრილებით მოიგონებს რაც, რასაკვირველია, სადს მდგომარეობაში აღარ ახსოვდა. ერთმა ახალგაზდა ქალმა ამ გვარ მდგომარეობით ყოფნის დროს დაბადებიდგან ებრაულ ენაზედ მთელი ადგილები სთქვა ზეპირად, თუმცა-კი მან ფხიზლობის დროს ერთი სიტყვაც არ იცოდა ებრაული. აღმოჩნდა, რომ ბავშვობისას ერთს პასტორთან მდგარიყო, რომელიც კვირაობით, ხმა მაღლივ კითხულობდა თურმე დაბადებიდგან ებრაულ ენაზედ და აი, მაშინ თავისდა უნებლიედ ებრაული სიტყვები ჩარჩენოდა გონებაში ამ ქალს და ჰიპნოტიზმის დროს გაახსენდა.—

მე-XVI საუკუნეში ფრანგი ექიმი მესმერი ამტკიცებდა, რომ ჰიპნოტიზმის დროს ჰმოქმედებს მაგნიტიზმი, რომელიც ყოველ ადამიანში მოიპოვება, ამ მაგნიტიზმს დაარქვა სახელად „ცხოველთა მაგნიტიზმი“. მესმერმა მრავალი ავადმყოფი განკურნა ჰიპნოტიზმით; სასწაულ-მომქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სული არ უმსხვერპლია. ამ ავად მყოფობით უფრო პატარა ბავშვები ხდებიან ავად. ერთის კვირის შემდეგ ბავშვი რჩება და კარგად არის.

წელს ჩვენს ქალებს უნდოდათ შარშანდელზედ მეტი აბრეშუმის ჭია მოეყვანათ, მაგრამ ბევრს ეს იმედი სრულიად გაუქარწყლდათ. აპრილის თვეში ისე გაძვირდა აბრეშუმის თესლი, რომ თითო კოლოფს ახალ-სენაკელი ვაჭრები 4—5 მანეთად ჰყიდნენ, მაგრამ იმათაც გამოელიათ, ისე რომ წელს მრავალია ცალიერ-ტალიერი. როგორც აქაურები, აგრეთვე მრავალი სხვა სამეგრელოს სოფლები მონატრულნი არიან აბრეშუმის ჭიის თესლსა. თითო კოლოფში 6—7 მანეთს არ დაჰზოგავდნენ, მაგრამ სად იყო შოვნა.

⁂ 14 მაისს მე-5 ნაწილში ღამით აზ. ალექსანდრე დეკანოზიშვილის ღვინის სარდაფიდგან ვიღამაც მოიპარა ექვსი ვედრო ღვინო. პოლიცია ქურდს დაეძებს.

⁂ ამ დღეებში ტფილისის მაზრის სოფ. ახოტში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ მოჰკლეს ადგილობრივი მცხოვრებელი მათე კურკუსაშვილი.

⁂ უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ საბჭოს 1898 წ. 1 მარტისათვის კასსაში ჰქონდა 51518 მან. 75 კაპ., მარტსა და აპრილში შემოუვიდა 2457 მან. 75 კაპ., ამავე თვეებში დაიხარჯა 3045 მან. 29 კაპ. 1898 წ. 1 მაისისათვის კასსაში იყო 50931 მან. 21 კაპ., აქედგან ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ინახება 11851 მან. 98 კაპ., ამავე ბანკის შემნახველ კასსაში—1926 მან. 78 კაპ., კასსაშივე %% ქაღალდებით—37105 მან. 13 კაპ., და საბჭოს კასსაში აქვს ფულად 47 მან. 32 კაპ.

### შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს:

ნადეჟდა იოილის ასულმა თაზიევისამ—ერთი ბალიშის გადასაფარებელი და ერთიც დივნის ბალიში; ეკატერინე იოილის ასულმა ხატიევისამ—სუფრა და ლამფის აბაჟური; ბარბარე იოსების ასულმა ლეჟნიევისამ—ერთი ნაკერი ბალიში; ელენე ივანეს ასულმა ჰილაშვილისამ—ხუთი ბანკა კონსერვი; ნინა ივანეს ასულმა თაყაიშვილისამ—ერთი სკამი; სოფიო სვიმონის ასულმა გაბაშვილისამ—ორი ძვირფასად ნაკერი კრესლოს გადასაფარებელი.

კნიაჟნა ანასტასია ფალავანდიშვილისამ და კნიაჟნა ნატალია ბარათაშვილმა—ცხრა ძვირფასი ნივთი.

ქ-ნმა თინათინა ფორაქიშვილისამ—ატლასის ბალიში, ჩუსტები და კალათა სურათებისათვის.

კნ. მარიამ ზაქარიას ასულმა ერისთავისამ—15 ნივთი, ერთი ვაზა და 14 სხვა-და სხვა მშვენიერი სამკაული.

## რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ამიერიდგან საერო სასწავლებელთა ინსპექტორის თანამდებობაზედ მხოლოდ ისინი დაჰნიშნოს ხოლმე, რომელთაც უმაღლესს სასწავლებელში ექმნებათ სწავლა დამთავრებული. ამ აზრით სამინისტრომ ყოველ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სთხოვა სია იმათი, რომელთაც ეს თანამდებობანი უჭირავთ.

— ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრო არდგენს პროექტს საბეითლო საპოლიციო წესებისას პირუტყვთა გადამდებ სენთან საბრძოლველად.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს გამოსცეს განსაკუთრებული წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით უნდა იყოს აწერილი რუსეთის ყველა სამკურნალო წყლები.

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** ეხლა ნამდვილად გამოირკვა, რომ ამას წინად ესპანელებმა განგებ გაავრცელეს ხმა: ესპანიის ფლოტი კუბისაკენ აღარ მიდის და უკან კადიკში დაბრუნდაო, რათა ამერიკელებისათვის გზა-კვალი დაებნიათ და თავიანთი ესკადრა შეუმჩნევლად კუბაში მაეყვანათ. ესპანელები არც მოსტყუვდნენ. ამ ხმის გავრცელებისათანავე, მტრის ანტილიის კუნძულებთან მყოფი ამერიკის ესკადრა, რომელიც აქ ესპანიის ფლოტს დაუცდიდა, უკან კუბაში დაბრუნდა, ხოლო ესპანიის ესკადრამ, რომელიც აგრეთვე მტრის ანტილიის კუნძულების მახლობლად იყო დამალული, ისარგებლა ამით და ამერიკელების შეუმჩნევლად გაიარა ზღვა კუბამდე, სადაც ამ კუნძულს აღმოსავლეთ ნაპირას მიადგა. გაზ. „Daily Fraphic“-ი დიდად აქებს ესპანელებს, რომელთაც იმდენი მოახერხეს, რომ ამერიკელები მოატყუეს და თავიანთი ფლოტი უვნებლად კუბაში მიიყვანეს. ესპანიის ესკადრის უფროსი ადმირალი სერვერი ამასაც არ სჯერდება, იმას აზრადა აქვს ამერიკელები ერთხელ კიდევ მოატყუოს და თავისი ფლოტი კუბის აღმოსავლეთ ნაპირიდგან მოწინააღმდეგის შეუმჩნევლად ჰავანში მიიყვანოს; თუმცა კი ძალიან ძნელია, რომ ადმირალმა სერვერმა ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანოს. ამერიკელებმა უკვე იციან ეხლა, რომ ესპანიის ესკადრა სანტ-იაგოშია და ეჭვი არ არის თვალს აღარ მოაშორებენ. პირიქით, როგორც გუშინდელი დეპეშა იუწყება, ამერიკელებს აზრადა აქვთ, ამ ადგილას ბრძოლა გაუმართონ ესპანელებს. აი, რას იუწყება ეს დეპეშა: „ამერიკის გემი, სანტ-იაგოს მახლობლად, ტაინმოს და სხვა ქალაქებთან იყრიან თავს. ეს იმას ამტკიცებს, რომ ამერიკელებს განზრახვა აქვთ სერვერაზედ იერიში მიიტანონ“. თუ ეს მართალია, ამბობენ გაზეთები, ამ ორ-სამ დღეში დეპეშა უეჭველად ამბავს მოიტანს სამპსონისა და სერვერის ესკადრების შეტაკების შესახება.

— კუბის ქალაქ სანტ-იაგოდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მეამბოხენი ამ ქალაქს გარს შემოერტყნენ და ნებას აღარავის აძლევენ, რომ სოფლიდგან ქალაქში სურსათი შეიტანონ. ყოველ შეტაკების შემდეგ მეამბოხენი უფრო მეტ მამაცობას და სითამამეს იჩენენ, ხოლო ესპანიის ჯარის-კაცები დღითი-დღე გულადობას ჰკარგავენ და მეამბოხეებს ვეღარ უმაგრდებიან. მეამბოხეთა წინამძღოლის გარსის ადიუტანტი კასტილიო თავის ჯარით ქალაქიდგან 25 მილის სიშორეზედ დაბინავდა. ყოველ დღე მეამბოხეთა რაზმს ქალაქიდგან გამოქცეულნი ემატებიანო.

— ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა, დასჭრას ყველა ის სატელეგრაფო მავთულები, რომელიც კუბიდგან და სხვა კუნძულებიდგან ისპანიამდეა გაყვანილი და ასეთი საშუალებით გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდოს კუბაში მყოფი მარშალი ბლანკო, რომელსაც აღარ შეეძლება აცნობოს რამ მთავრობას, ან იმისაგან მიიღოს რამე ამბავი.

**ინგლისი.** წარსულ პარასკევს ინგლისის პარლამენტის ორივე პალატას სამგლოვიარო კრებები ჰქონდათ გლადსტონის გარდაცვალებისა გამო. ქვეითა პალატაში ხაზინის პირველმა ლორდმა (ფინანსთა მინისტრმა) ბალფურმა აღელვებულის ხმით სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დიდად შეაქო გლადსტონის მოღვაწეობა. დასასრულ ურჩია პარლამენტს, ადრესი მიართვათ დედოფალს იმის შესახებ, რომ გლადსტონის დასაფლავება სახელმწიფომ იკისროს და რომ მეგლი დადგას ვესტმინსტერის სააბატოში. ამ კრებაზედვე ილაპარაკეს გლადსტონის შესახებ გარკურმა და დილონმაც, ამ უკანასკნელმა ირლანდიელების სახელით. კრებამ, მოისმინა რა ორატორების სიტყვა, ერთხმად მიიღო ბალფურის წინადადება. ლორდთა პალატაში გლადსტონის მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა ლორდმა სალისბიურიმ და როზბერიმ.

ინგლისში ბევრმა გაზეთმა, გლადსტონის გარდაცვალების გამო, სამგლოვიარო ნომრები დაბეჭდა. ლონდონში თითქმის ყველა სახლზედ სამგლოვიარო დროშა აღმართეს. დედოფალმა ვიქტორიამ საკუთარის ხელით დაწერილი წერილი გაუგზავნა გლადსტონის ქვრივს, რომელშიაც დიდს მწუხარებას აცხადებს დიდებულის მოხუცის გარდაცვალებისა გამო. ყოველ დღე გარდაცვალებულის მეუღლეს ახალ-ახალი სამგლოვიარო დეპეშები მოსდის უცხო-ქვეყნებიდგან. დედა-მიწის ზურგზედ ამ ჟამად ისეთი გაზეთი არ არის, რომელიც გლადსტონის შესახებ დიდს წერილებს არა ჰბეჭდავდეს. ინგლისის

---

დის ხმა მთელს ევროპაში დაუვარდა და ათასობით მიდიოდნენ იმასთან სხვა-და-სხვა ავადმყოფნი; რადგან მესმერს ყველას ნახვა აღარ შეეძლო, ამისთვის თავის ოთახიდგან რკინის მართულები გააბა; ავადმყოფები განკურნების მისაღებად მოჰკიდებდნენ ხოლმე ამ მართულებს და მართლაც უმეტესი ნაწილი მათგანი იღებდა შვებას.

როდესაც გაიგეს მესმერის ამგვარი საკვირველი მოქმედებანი, ეგონათ, რომ მხოლოდ მას შეეძლო ასეთი „სასწაული“; მერმე-კი აღმოჩნდა, რომ გიპნოტიზიორის როლი დიდ საჭიროებას არ შეადგენს, ყოველ ადამიანს შეუძლიან თავის თავი თვით მოიყვანოს ჰიპნოზში; ამისათვის საჭიროა ადამიანმა დაარწმუნოს, შთააგონოს დაბეჯითებით თავისს თავს რაიმე აზრი, ანუ სურვილი და სრულიად გაჰყვეს ამ აზრსურვილს.

აჲის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთს შემთხვევას მრავალ მაგალითთა შორის: Francois d' Assise-მა ერთხელ ლოცვის დროს დაინახა, რომ ზეციდგან ჩამოვიდა ცეცხლის ფრთიანი ანგელოზი, რომლის ფრთებ შუა გამოჩნდა ჯვარცმულის ქრისტეს სახე; მოჩვენება მალე გაქრა, მაგრამ Francois d' Assise-ის გულში ღრმა კვალი დასტოვა, დაიწყო გულმხურვალე ლოცვა და იმ წამს ტანზედ ხუთ ადგილზედ გამოაჩნდა წყლულები, საიდგანაც დასდიოდა სისხლი. ეს სწორედ ის ადგილები იყო, სადაც ჯვარცმულ ქრისტეს ლურსმები დაჰკრეს.

Louse Lafeau-ს, როდესაც იგი სარწმუნოებრივ აღტაცებაში იყო, სისხლი სდიოდა ტანიდგან, წარმოიდგენდა თუ არა ჯვარ-ცმულ ქრისტეს ტანჯვას.

მაშასადამე, შთაგონება ჰმოქმედობს არა მარტო ერთი კაცისაგან მეორეზედ, არამედ თვით ადამიანს შეუძლიან შთააგონოს თავისს თავს. ეს შთაგონება ისეთი მძლავრია, რომ ადამიანში შეიძლება მოხდეს არამც თუ სულიერი ცვლილება და მოძრაობა, არამედ ხორციელი—ფიზიკურიც.

როდესაც ჩვენი ტვინი მძლავრ მოძრაობაშია, როცა ჩვენი სულიერი მხარე დიდ მღელვარებაშია, მაშინ ცვლილება ხდება მთელ ჩვენ სხეულში, ირღვევა თანასწორობა ყოველ ასოში და ამიტომ ყოველგვარი ცვლილებაა მოსალოდნელი.

თუ რამდენად აქვს გავლენა შთაგონებას, იქიდგან სჩანს, სხვათა შორის, რომ თქვენ ჰიპნოტიზმში მყოფს აკრავთ ქაღალდს ტანზედ და ეუბნებით, რომ ეს დასამწიფებელი მალამოაო, და მართლაც რამდენისამე წამის შემდეგ ის ადგილი, სადაც ქაღალდია დაკრული, უწითლდება და უსივდება.

პროფესსორმა ბელლინმა დააძინა ერთი ახალგაზდა ქალი, ხელის გულზედ ჩხირით რამდენიმე სიტყვა დააწერა და უბრძანა, რომ იქ, სადაც ჩხირი იყო გატარებული, სისხლით აღებეჭდება სიტყვებიო. მართლაც ხელზედ გამოაჩნდა დასისხლიანებული ასოები.

ჰიპნოსში მყოფი ადამიანი შთაგონების ძალით წყალს ღვინოდ მიიღებს, ნახშირს პურად; ის სვამს წყალს, სიამოვნებას-კი იმგვარს იღებს, თითქოს ღვინოსა სვამდეს.

პროფ. ობერშტეინერს დაჰყავს ოთახში ჰიპნოზში მყოფი ქალი და შთააგონებს, რომ ბაღში ხარ, სადაც გარშემო მრავალი ყვავილებიაო; ავადმყოფი სუნთქავს ყვავილების სუნს და დიდად ჰსიამოვნებს.

რიშემ ერთი 43 წლის ქალი ჰიპნოზის დროს შთაგონებით გარდააქცია აქტრისად, ბავშვად, გენერლად, მოლოზნად, მქადაგებლად და სხვად; ყოველთვის იმ გვარი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, რა გვარიც შეეფერებოდა ამ სხვა-და-სხვა ხალხს; როდესაც პატარა ბავშვი იყო, ლაპარაკის დროს ენას უქცევდა, დარბოდა, ცელქობდა, თხოულობდა სათამაშოებს და ხილს; როდესაც აქტრისაა—თეატრალურად ჰკითხულობს ლექსებს, როდესაც გენერალი იყო—თხოულობდა ცხენს, რომ ჯარს გასძღოლოდა წინ.

ღელბეჭმა ორი და მოიყვანა ჰიპნოზში და ერთი მათგანი ღორად გარდააქცია და მეორე და-კი მეღორეთ; მაშინვე მეღორე გამოუდგა ღორს და სწვდა კუდში, ესე იგი კაბაში, და დაიჭირა. ამ გვარად დაძინებულს აჩვენებენ სკამს და ეუბნებიან: ჰხედავ, რა საშინელი ლომია, მოერიდეო! ის მაშინვე შეშინებული გარბის ყვირილით და შველას თხოულობს.

ერთს ქალს შთააგონეს, რომ ვითომ ის ჰზის გემში, რომელიც იღუპება; ქალი ვითომ-და ვარდება ზღვაში და დაიწყებს თავ-განწირვით ტალღებთან ბრძოლას, რომ ხმელეთს მიაღწიოს. სახეზედ გამოუთქმელი შიშისა და სასოწარკვეთილების ბეჭედი აზის.

მაშასადამე, ზემო მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ადამიანის სულიერათ აგებულება იმ გვარია, რომ მათ შეუძლიანთ შთააგონოთ ან და თითონ თავის თავს შთააგონოს და ამ გვარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი სულ სხვა ფერს იღებს, ყველაფერი ისე ეჩვენება, როგორც შთააგონებენ. შთაგონებულ ადამიანს თავისი „მე“ სრულიად დაკარგული აქვს და იგი მხოლოდ შთაგონების ძალით ჰმოქმედებს.—ავიღოთ თუნდ ჩვენი საზოგადო ცხოვრება; განა საზოგადოება არა სცხოვრობს შთაგონებით. ნიჭიერნი და წარჩინებულნი გონებრივ და ზნეობრივ მიდიან წინ და იმათ მისდევს ბრბო.

პირველი შთაგონება იყო მაშინ, როდესაც გველმა დაარწმუნა და შეაცდინა ევა, რომ აღკრძალული ხილი ეჭამა. როდესაც ნიჭიერი ორატორი გამოდის აღელვებულ ბრბოს წინ და თავისის მჭერ-მეტყველებით ხიბლავს და იტაცებს რამდენსამე ათასს კაცს, მაშინ, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იგი ჰმოქმედობს შთაგონების ძალით.

მაჰმადმა შთააგონა რა თავისს თავს, რომ იგი ზეცით არის მოვლენილი ქვეყნად, ამით მან მოიპოვა დიდი ძალა შთაგონებისა; ამითი აიხსნება, რომ მან შეჰქმნა ახალი სარწმუნოება და მრავალი სასწაულიც მოახდინა, რასაკვირველია, თავისის შთაგონების ძალით.

ჰიპნოზი ანუ შთაგონება მოქმედობს არა მარტო ადამიანზედ, არამედ პირუტყვზედაც. ყველას გაეგონება, რა გვარ შიშს მოჰგვრის ხოლმე გველი ფრინველს, რომელიც იქვე გაქვავდება გველის დანახვისათანავე.

ქათამი რომ გვერდზედ დასდოთ მაგიდაზედ და რამდენიმე წამი ამ გვარად გააჩეროთ, შემდეგ იმისს თავსა და მაგიდაზედ ცარცით ხაზი გაატაროთ, ქათამი უძრავად დარჩება, მაგიდაზედ ხელიც რომ მოაშოროთ, რადგან ეს ხაზი მას ბაწარი ჰგონია, რომლითაც ვითომ მიბმულია.

მრავალი ლეგენდაა, რომლებიც მოგვითხრობს, რომ ყოფილან იმ გვარი არსებანი, რომლების დანახვა გააქვავებდა ადამიანს.

ამ გვარად ვხედავთ, რომ ის საკვირველნი მოვლენანი, რომლებიც ყოველთვის აკვირვებდა და აოცებდა ადამიანის გონებას, დღეს ჩვენთვის გასაგებია. დღეს ადამიანის განვითარებულმა გონებამ ამ მოვლენათ მეცნიერული განმარტება უპოვა, ასე რომ დადგება ის დროც, როდესაც ადამიანის გონება იმდენად მძლავრი შეიქმნება, რომ აღარაფერი აღარ გააკვირვებს ამ ქვეყნად და ყველაფერი ახსნილი იქნება მის მიერ.

ექიმი ბაღრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთები ხომ გლადსტონის ცხოვრების უოკვლესავე წარსულს იგონებენ.

გლადსტონმა ცოლი 1839 წელს შეირთო. სულ 8 შვილი ჰყავდა. მათში 1850 წელს გარდაიცვალა 4 წლის ქალი, ხოლო 1891 წელს უფროსი შვილი, ვილიამი, რომელიც პარლამენტის წევრად იყო. გლადსტონის მეოთხე შვილი საზოგადოებათა პალატის წევრია, ხოლო მეორე სტეფან-ედუარდი — ჰავარდენში პასტორად (მღვდლად) არის. გლადსტონის სამ ქალიშვილში გათხოვილი მხოლოდ ერთია.

როდესაც გლადსტონს ლონდონში საქმე არა ჰქონდა, თავის მამულში, ჰავარდენში მიდიოდა და იქ ცოლ-შვილთან ერთად მშვიდად, მყუდროდ სცხოვრობდა. გლადსტონი განცხრომას არსად და არასოდეს არ ემლეოდა. სოფელში თუ ქალაქში ის ტყუილად ერთ წუთსაც არა ჰკარგავდა; მუდამ საქმეში იყო გართული. წინად, უმეტესად დილის 7 საათზედ დგებოდა და მაშინვე ეკკლესიაში მიდიოდა ცისკრის მოსასმენად. ამასთანავე ეკკლესიაში ყოველთვის მედავითნის თანამდებობას ასრულებდა და საეკკლესიო წიგნებს კითხულობდა.

## სასამართლოს მატიანე

მასწავლებლის აზნ. დიმიტრი დუმბაძის საქმე

(შემდეგი *)

ბოგდანოვი. (ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორი) ყვარელის სასწავლებელი ჩემის წინადადებით იქმნა გადაკეთებული. ეს სასწავლებელი მეორე ინსპექტორს პავლოვსა ჰქონდა ჩაბარებული, მაგრამ იმის გადაკეთება მე მომანდეს, რადგანაც პავლოვი არ თანაუგრძნობდა ამ აზრს. დუმბაძე წინააღმდეგი იყო, რომ სახელოსნო განყოფილება გავვეუქმებინა და იმის ნაცვლად ღედათა სასწავლებელი დაგვეარსებინა. როდესაც გაიგო, რომ მასწავლებლად რუსის ქალი შმაკოვისა დავნიშნეთ, ტფილისში ჩამოვიდა და ლაპარაკი დაგვიწყო, რომ რუსის ქალი მაგ თანამდებობას არ შეეფერებაო. ჩვენ მივუგეთ, რომ ეგ შენი საქმე არ არისო. მე და დირექტორი ზაქათალაში მივდიოდით და თელავიდგან დუმბაძესთან შევუხვიეთ. გზაზედ ხალხი მოგვეგება და საყვედური დაგვიწყო: „რად დაგვინიშნეთ რუსის ქალი მასწავლებლადაო, ჩვენ აღარც ფულს გადავიხდით და აღარც შვილებს მივაბარებთ სკოლაშიო“ და სხვა. შემდეგ შევიტყეთ, რომ ყველა ეს დუმბაძეს საქმე იყო. როგორც მამასახლისმა ზანდუკელმა გადმომცა, დუმბაძეს ყრილობა მოეხდინა და ჩაეგონებინა სოფლელებისათვის, რომ რუსის ქალს მასწავლებლად ნუ მიიღებთო. ამავე საქმეში ჩაერია აგრეთვე დაღისტნის გუბერნატორი თავ. ჭავჭავაძე, რომელიც თხოულობდა რუსის ქალს ნუ დანიშნავთო. თავ. ჭავჭავაძე დუმბაძის თხოვნით ჰმოქმედებდა, ნამდვილად-კი „ამ ბრწყინვალე მფარველს სამშობლო ქვეყნისას“ სულაც არ ეინტერესებოდა სკოლის საქმე. სწავლა დაიწყო და მე მაშინ შევიტყე, რომ სოფლელები, დუმბაძის გავლენით თავიანთ ქალიშვილებს აღარ აბარებდნენ სკოლაში. ერთხელ თავ. ჭავჭავაძესთან სადილად ვიყავით, როდესაც დუმბაძეს ვუთხარი, რომ ისე უნდა მოიქცეთ, როგორც ჩვენ გიბრძანებთ-მეთქი, იმან მომიგო: „ნუ გამომიყვანთ მოთმინებიდგან, თორემ სუყველაფერი ცუდად დასრულდებაო“. მე დუმბაძე ცუდის თვალით მიყურებდა. საზოგადოდ ის ორპირი, ვერაგი, ცბიერი კაცია. პირში ყველას არწმუნებდა, რომ შენი მეგობარი ვარო, ზურგს უკან-კი სამარეს უთხრიდა. დუმბაძეს შეეძლო უბრალო საქმეზედ კაცი მოეკლა. პირში შმაკოვის ქალს სიყვარულს უცხადებდა, პირს უკან-კი აძაგებდა, დასცინოდა. ეს მე ჩერკასოვმა გადმომცა. ხშირად ეჩხუბებოდა კიდეც შმაკოვისას. სასწავლებლის საქმე ცუდად წავიდა, ამიტომ დირექტორმა დუმბაძე სხვაგან გადაიყვანა. გადაყვანის ქაღალდი დუმბაძემ 15 მიიღო. 16-ს შმაკოვის ქალთან შევიდა და რევოლვერი ესროლა. ჯიბეში დუმბაძეს შმაკოვის ბარათი ედო, რომელშიაც ის ვითომ სწერდა, რომ ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო. დუმბაძეს რომ მოეკლა ქალი, ბარათს სტოლზედ დასდებდა, რევოლვერსაც იქვე დააგდებდა და არხეინად წავიდოდა; შემდეგ სამგლოვიარო ტანისამოსს ჩაიცვამდა და მოწყენილის სახით დასაფლავებას დაესწრებოდა, ვითომ ძალიან ვწუხვარ ამის სიკვდილსაო. ყველა ამის ჩადენა იმის დასამტკიცებლად ჰსურდა დუმბაძეს, რომ ქალი სოფლის საზოგადოების წინააღმდეგ იქმნა დანიშნული და ამ გარემოებამ სიკვდილამდე მიიყვანა ის. დუმბაძე ხშირად მეკამათებოდა და მედავებოდა, ამიტომ დირექტორსა ვთხოვე, რომ მოშორეთ-მეთქი თავიდგან.

ბრალდებულის დამცველი გრუზენბერგი. როდის შეუდექით იმ ნაწილის საქმეების განგებას, რომელიც პავლოვსა ჰქონდა ჩაბარებული.

ბოგდანოვი. 1895 წლის სექტემბერს.

დამცველი. თქვენ სამოსწავლო საქმეში ერეოდით თუ არა?

ბოგდანოვი. არა. მაგრამ მე დუმბაძეს კარგად ვიცნობ. ვიცი აგრეთვე ყვარელის სკოლის ყოველივე გარემოება.

დამცველი. ეგ სასწავლებელი წინად თქვენ არ გებარათ, მაშ საიდგან იცით იმის საქმე და საიდგან იცნობთ დუმბაძეს?

ბოგდანოვი. ყველაფერს მატყობინებდა ჩერკასოვი, რომელსაც მივანდე თვალ-ყური გეჭიროს დუმბაძეზედ-მეთქი. საზოგადოდ, მე სხვათა დახმარებით ვადევნებ ხოლმე თვალყურს მასწავლებლებს. საბუთები მაქვს, რომ დუმბაძე ხალხს აღელვებდა ჩვენ წინააღმდეგ.

დამცველი. მოითმინეთ!

ბოგდანოვი. როგორ თუ მოვითმინო, ნება მომეცით ვილაპარაკო!

ბრალდ. დუმბაძე. ბ-ნო თავმჯდომარევ, გთხოვთ ოქმში შეიტანოთ, რომ სენატის გადაწყვეტილების ძალით მოწმეს ნება არა აქვს დამცველს სიტყვა გააწყვეტინოს.

დამცველი. დუმბაძე სკოლის გადაკეთების დროს რაში გეწინააღმდეგებოდათ?

ბოგდანოვი. ყველაფერში.

დამცველი. ეგ ცალიერი სიტყვაა. იქნება ეგ მარტო თქვენი აზრია.

ბოგდანოვი. დიაღ, ჩემი აზრია.

დამცველი. თქვენი აზრი საქმისათვის საკმარისი არ არის, საბუთიანი ბრძანეთ რამე.

ბოგდანოვი. „ბრწყინვალე თავადსა და ქვეყნის მფარველს“ იმდენადვე ეინტერესებოდა სკოლის საქმე, რამდენად შარშანდელი თოვლი. არ შეიძლება, რომ კავალერისტს სკოლის საქმე აინტერესებდეს. ის საქმეში მხოლოდ დუმბაძეს წყალობით ჩაერია, განა ეს წინააღმდეგობა არ არის?

დამცველი. თქვენ საიდგან იცით, რომ დუმბაძეს გავლენა ჰქონდა თავ. ჭავჭავაძეზედ?

ბოგდანოვი. ეგ მე ვიცი.

დამცველი. ვისგან?

ბოგდანოვი. მე ვფიქრობ აგრე.

დამცველი. ვის ეძახით თქვენ „ბრწყინვალე დამცველს თავისს ქვეყნისას“?

ბოგდანოვი. დაღესტნის გუბერნატორად ნამყოფს თავ. ჭავჭავაძეს.

დამცველი. რა საბუთის ძალით ამბობთ, დუმბაძეს რომ შმაკოვის ქალი მოეკლა, ბარათს მიუგდებდაო?

ბოგდანოვი. ეგ მე იმის თანამოსამსახურეთ გადმომცეს.

დამცველი. სახელდობრ ვინ?

ბოგდანოვი. მაგას მე თვითონ ვამბობ, რადგანაც დუმბაძეს კარგად ვიცნობ. ის საძაგელი და ცუდი კაცია.

დამცველი. მაშასადამე, თქვენ არავითარი საბუთი არა გაქვთ, მხოლოდ თქვენ აზრს ამბობთ?

ბოგდანოვი. დიაღ, ეგ ჩემი აზრია.

ბრალდ. დუმბაძე. ბ-ნო მოსამართლენო, ბოგდანოვმა სთქვა, რომ მამასახლისმა გადმომცა, დუმბაძე სოფელს აჯანყებდა, რუსის ქალს მასწავლებლად ნუ მიიღებთო, სკოლაში ბავშვებს ნუ მიაბარებთო. სთქვა აგრეთვე ის, რომ ჩერკასოვმა გადმომცა დუმბაძე დასცინოდა და ცუდს რამეებს ლაპარაკობდა შმაკოვის ქალის შესახებაო. გთხოვთ, გამოიწვიოთ როგორც მამასახლისი ზანდუკელი, აგრეთვე ჩერკასოვი და პირისპირ დაუყენოთ ბოგდანოვს: მართალია რასაც ეგ ამბობს, თუ არა.

თავმჯდომარემ ყვარელის მამასახლისი ზანდუკელი გამოიხმო.

დამცველი. ბ-ნო ზანდუკელო, თქვენ გარდაეცით ბოგდანოვს, რომ დუმბაძე ხალხს აჯანყებდა, ურჩევდა, რუსის ქალს ნუ მიიღებთო და სხვა?

ზანდუკელი. არაფერი მაგვარი არ გარდამიცია და ვერც გარდავცემდი, რადგანაც ეგ არ მომხდარა. ბოგდანოვი მართალს არ ამბობს.

დამცველი. ბ-ნო თავმჯდომარე, აშკარაა ეხლა, რომ ბოგდანოვი მართალს არ ამბობდა.

შემდეგ თავმჯდომარემ ჩერკასოვი გამოიხმო.

თავმჯდომარე. ბ-ნო ჩერკასოვო, თქვენ გარდაეცით ბოგდანოვს, რომ დუმბაძე დასცინოდა და ცუდად იხსენიებდა შმაკოვის ქალსაო?

ჩერკასოვი. არა, მე ეგ არ მითქვამს.

ბრალდებ. დუმბაძე. გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, ნება მომეცით ბოგდანოვს ორიოდე რამ ვკითხო. (თავმჯდომარე ნებას აძლევს. ბოგდანოვს) 1896 წლამდე ვინ იყო ინსპექტორად?

ბოგდანოვი. პავლოვი.

ბრალ. დუმბაძე. თქვენ იყავით ჩემთან სარევიზიოდ?

ბოგდანოვი. არა, მე მოვედი მხოლოდ და გთხოვეთ, რომ ამ შფოთს ნუ ახდენთ მეთქი.

ბრალდ. დუმბაძე. ვინ გადმოგცათ ის ამბავი, რომ მე ვითომ თქვენი მოკვლა მინდოდა?

ბოგდანოვი. არავინ.

ბრალდ. დუმბაძე. არავინ და თქვენ-კი მაგის შესახებ ჩვენება მიეცით და მთელი სამი თაბახი დასწერეთ.

ბოგდანოვი. მე თქვენ შესახებ ვერაფერს ვიტყოდი და ვერ დავწერდი, რადგანაც ნაკლებად გიცნობთ.

ბრალდ. დუმბაძე. ბ-ნო მოსამართლენო, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ბოგდანოვის აზრის უთანხმოებას: ერთის წუთის წინადა სთქვა, „კარგად ვიცნობ დუმბაძეს, საძაგელი და ცუდი კაციაო“, და ეხლა კი ამბობს, არ ვიცნობ დუმბაძესაო და სხვა.

დამცველი. (ბოგდანოვს) თქვენ რად მოგანდეს სკოლის გადაკეთების საქმე, შენობის აგება და არა იმას, ვის განკარგულებაშიაც იყო ეგ სასწავლებელი, სახელდობრ ინსპექტორს პავლოვს.

ბოგდანოვი. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა იმიტომ მომანდო, რომ ეგ საქმე მე კარგად შევისწავლე. პავლოვი არ თანაუგრძნობდა სკოლის გადაკეთების საქმეს და წინააღმდეგი იყო, რომ მასწავლებლად რუსის ქალი დაგვენიშნა. მე მომანდეს და აღვასრულე კიდეც ეს მონდობილება.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 101

## ნაკვესი

—

ბანქოს თამაშობის დროს ერთი მოთამაშე ძალიან აგებდა, თუმცა ქაღალდი კარგი მოსდიოდა.

— ჭკიანურს უგრავთ?

— არათ, უპასუხა ბანქოს უხეიროდ მოთამაშემ.

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ არ ვიცი.

— მაშ ბანქოს რაღადა თამაშობთ?!.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ისტორია მრავალს მაგალითს გვიჩვენებს იმისას, რომ ადამიანი 100 წელიწადზე მეტს ხანსა სცოცხლობს. ასეთი მაგალითები ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი. ეხლა ზოგიერთს მაგალითს კიდევ მოვიყვანთ.

ინგლისელმა თომა პასსემ 152 წელი და 9 თვე იცოცხლა. პირველად რომ ცოლი შეირთო, 80 წლისა იყო. 105 წლისა რომ იყო, სასულიერო მთავრობამ დასაჯა იმისათვის, რომ ერთს დედაკაცთან კავშირი აქვსო. მეორედ რომ ცოლი შეირთო, 120 წლისა იყო. სიკვდილამდე შრომაში ატარებდა ყოველს დღეს. ამ მათუსაილის საჭმელი გახლდათ: პური, ყველი და რძე. ხანდახან ლუდსაცა სვამდა. 1635 წელს მოხუცი თომა პასსე მიიყვანეს მეფე კარლოს პირველთან. სასახლეში სადილი მიართვეს. მოხუცის სტომაქმა მეფის სადილი ვერ მოინელა და მალე გარდაიცვალა. მკურნალებმა გასჭრეს განსვენებულის გვამი და შეამოწმეს, რომ თომა მეტად ჯანსაღი ყოფილა და დიდხანს იცოცხლებდა, რომ მეფის ადილს არ მოეკლა.

უფრო მეტს ხანს უცოცხლია ერთს შოტლანდიელს მეთევზეს ჰენრი ჯენკინს. ამ მეთევზის საფლავის ქვაზე აწერია: „ნუ გაწითლდები მარმარილოს ქვავ იმით, რომ დაუვიწყარ უნდა ჰყო სახელი ჰენრი ჯენკინისა, რომელმაც, ქვეყნის გასაოცრად, 169 წელს იცოცხლა.

ოფიციალურად შემოწმებულია, რომ ლონდონის ერთს მცხოვრებს 207 წელიწადი უცხოვრია. ამ კაცის სიცოცხლის დროს ინგლისში 12 მეფე გარდაცვლილა.

ვილნოს გუბერნიის ერთი გლეხი მიხეილ კიაველიკსი 137 წლისა გარდაცვლილა. სიკვდილის დღემდე მუდამ მხიარული ყოფილა და სიცილით ამბობდა თურმე, სიკვდილმა დამივიწყაო.

ერთი ირლანდიელი ქალი გრაფის ცოლი დემონდი 145 წლისა გარდაიცვალა. 100 წლისა რომ იყო, ჯერ ისევ მეჯლისში ცეკვავდა ხოლმე. 140 წლისა რომ იყო, ბრისტოლიდგან ლონდონში გაემგზავრა. ამ დედაკაცმა, თურმე, თავის სიცოცხლეში სამჯერ დაიცვალა კბილები.

1876 წელს პარიჟში გარდაიცვალა ტერეზა ფიდლერი, 116 წლისა. სიკვდილის დღემდე ეს დედაკაცი მუდამ მხიარული იყო.

ერთს ინგლისელს ქალს მერი პრესკოტს, რომელმაც 105 წლამდე იცოცხლა, 37 შვილი ჰყოლია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 მაისი

**მოსკოვი.** მოვიდა ბუხარის ემირი, რომელსაც თან ახლავს პირველი მინისტრი, ორი წარჩინებული მოხელე და ამალა. 16 მაის ემირი პეტერბურგში წავა.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო მოხელენი იმ აზრისანი არიან, რომ სერვერის ესკადრა ჯერ ისევ სანტ იაგოშია, თუმცა ამის შესახებ ახალი ცნობა აღარ მოსულა არც სამპსონისა და არც შლეისაგან. ამბობენ, უკვე გადაწყვეტილიაო, რომ თუ ვინიცობა სერვერი სანტ-იაგოში მოამწყვდიეს, ახლო მომავალში შეუდგებიან მოქმედებას პორტო-რიკოს, კუბის და ფილიპეს კუნძულების წინააღმდეგაო.

**ნიუ-იორკი.** გამოქვეყნებულ იქმნა დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ სამპსონი უკვე 5 დღეა რაც კივესტიდგან წავიდა, რათა სერვერის ფლოტს დაუშალოს ვიენტოსის სრუტეში გასვლა. ადმირალის გემი შაბათსა და კვირას ჰავანის მახლობლად იდგა და სხვა გემების მოსვლას უცდიდა; ორშაბათს გემები აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ; სამშაბათს აღმოსავლეთისაკენ მსვლელობა აღარ განაგრძეს, რადგანაც დეპეშების მიღებას უცდიდნენ; დეპეშების მიღებისათანავე, მთელი ესკადრა უკან, ჰავანისაკენ დაბრუნდა.

**პეკინი.** იმპერატორმა დაამტკიცა და ცუნგ-ლი-იამენმა ხელი მოაწერა იმ ხელ-შეკრულობას, რომელიც ლუცატის ინგლის-იტალიის სინდიკატის წარმომადგენელთან იქმნა დადებული. ხელ-შეკრულობით სინდიკატს ნება ეძლევა შან-სის პროვინციის შუაგულ და ჩრდილოეთ ადგილებში აღმოაჩინოს და აწარმოოს ქვა-ნახშირი, რკინა და ნავთი, ამასთან გაიყვანოს რკინის გზა მთავარ ლიანდაგამდე.

**პარიჟი.** არჩევანების დროს გამოწვეულ კამათისა გამო, როშფორსა და დეპუტატად ნამყოფ, მაგრამ უკანასკნელ არჩევანების დროს გაშავებულ, ჟერო შირარის შორის დუელი მოხდა შპაგებით. როშფორი ხელში დაიჭრა მსუბუქად.

Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Мая 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.